

შპს „დორანი-ფერმა“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "დორანი-ფერმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35 555	6 987	22 467	3.1.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	65 218	56 031	43 141	3.2.
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 876	29 690	4 474	
მარაგები	168 989	114 135	110 737	3.3.
სხვა მოკლევადიანი აქტივები	16 252	113 589	118 901	3.4.
ბიოლოგიური აქტივები:	1 047 934	883 402	894 103	3.5.
თვითღირებულების მოდელით	808 534	674 002	778 103	
გადაფასების მოდელით	239 400	209 400	116 000	
სხვა არამატერიალური აქტივები	320	335	350	
ძირითადი საშუალებები	1 131 485	868 180	938 268	3.6.
სულ აქტივები	2 468 629	2 072 349	2 132 441	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	64 600	-	-	
სავაჭრო ვალდებულებები	111 495	179 390	117 640	
ანარიცხები	-	-	1	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9 288	6 860	-	
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	31 226	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	152 748	377 000	364 740	3.7.
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2 300 506	1 780 940	1 762 081	3.8.
სხვა ვალდებულებები	-	-	93 078	
სულ ვალდებულებები	2 638 637	2 344 190	2 368 766	
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 170 008	- 271 841	- 236 325	
სულ საკუთარი კაპიტალი	- 170 008	- 271 841	- 236 325	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 468 629	2 072 349	2 132 441	
სულ მოკლევადიანი აქტივები	288 890	320 432	299 720	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	338 131	563 250	575 458	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები: _____ **მ. წილოსანი**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი-ფერმა"

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020	შენიშვნა
ნეტო ამონაგები:	1 142 132	1 122 396	3.9.
-საქონლის გაყიდვიდან	1 141 581	1 106 795	
-მომსახურების გაწევიდან	551	15 601	
გაყიდვების თვითღირებულება	- 1 107 885	- 1 106 795	
საერთო მოგება	34 247	15 601	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 166 979	1 199 795	3.10.
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 147 265	- 107 495	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 114 549	- 96 264	
საპროცენტო ხარჯი	- 169 487	- 178 811	
იჯარის ხარჯი	- 84 215	- 35 069	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 742 097	- 655 230	3.11.
სულ საოპერაციო ხარჯები	- 90 634	126 926	
საოპერაციო მოგება	- 56 387	142 527	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	- 20 920	- 83 175	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	122 105	- 169 097	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	47 574	86 177	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	92 372	- 23 568	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	92 372	- 23 568	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	92 372	- 23 568	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	- 271 841	- 236 325	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	9 461	- 11 948	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	- 170 008	- 271 841	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები: _____ მ. წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი-ფერმა"

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	337247	394684
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-556358	-18959
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	247639	-391209
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	28528	-15484
სავალუტო კურსის ეფექტი	40	4
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	6987	22467
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	35555	6987

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები: _____ **მ. წილოსანი**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დორანი-ფერმა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 30 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 424613154, იურიდიული მისამართი - საქართველო, ახმეტა, ორბელიანის ქ. N8.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია შპს დორანი (ს.კ. 202245490).

კომპანიის დირექტორია მამუკა წილოსანი (პ.ნ. 01007004710).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და მისგან მიღებული რძის რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 7 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული ლარებში	27094.06	5353
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	8361.73	1605
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	99.22	30
სულ:	35555	6987

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

აღნიშნული მუხლი მოიცავს ადგილობრივი რეალიზაციიდან წარმოქმნილ მოთხოვნებსა და მომწოდებელზე გადახდილ ავანსებს.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რქოსანი პირუტყვის მოვლისათვის საჭირო ხარჯვადი მარაგები	167772	114135
სარემონტო მარაგები	1217	-
სულ:	168989	114135

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

ამ მუხლში დათვლილია სალდირებულად ბუჯეტთან ანგარიშსწორება და ეს ფორმისთვის წარმოადგენს აქტივს, რაც გამოწვეულია შესყიდვებიდან წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლებით.

3.5. ბიოლოგიური აქტივები:

ბიოლოგიურ აქტივებს წარმოადგენს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც არის შესყიდული და თვითონ ფერმაზე ბუნებრივი ნამატი. პირველი შემთხვევა აღირცხულია თვითღირებულების მოდელით, ხოლო მეორე - გადაფასების მოდელით.

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
მატანი კოდი 11, კვ. 40, ნაკვ. #124	19200			19200			19200
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	-1300		1300	-9315		10615
ექსპლუატაციაში არ შესული	0			-	-16940		16940
მიმოსვლის გზები	617		27	644		26	670
შენობები	419471		21744	441216		21744	462960
ნაგებობები	254192	48846	10095	215441	11176	9449	213714
მანქანა- დანადგარები	7863	3415	14161	18609		13997	32606
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	10985	1575	2021	11431	3042	1887	10276
ელექტროგადამცემის საშუალებები	6203		1331	7535		1331	8866
ნიადაგის დასამუშავებელი ძირითადი საშუალებები	34142	37240	3098				
ძალღოვანი მანქანები და მოწყობილობები	6553	168	1082	7467		1073	8540
სასოფლო- სამეურნეო მარაგები	275595	280210	19437	14823	16940	2118	
სამშენებლო მოწყობილობები	833		250	1083		250	1333
ოფისის აღჭურვილობა, კომპ.	392	319	26	98	102	3	
ელექტრონული მოწყობილობები	3152	2449	460	1164	1269	105	
ავეჯი	4597		624	5222	4558	544	1209
ინვენტარი	7174	2455	2130	6849	2472	2112	6489
სპეციალური ინსტრუმენტები	3480	2417	569	1632	1593	356	395
მსუბუქი ავტომობილები	48876		22955	71831		23820	95651
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	15940		9519	25459		12619	38077
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	12219		4933	17151	11307	2560	8404
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	0		70	70		2253	2324
სულ:	1131485	377794	114534	868224	26204	96247	938268

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.7. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

აღნიშნული მუხლი მოიცავს ბანკისგან აღებულ გრძელვადიანი აგროსესხის მიმდინარე ნაწილს.

3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს ბანკისგან აღებულ აგრო სესხს და ასევე, ფიზიკური პირებისგან აღებულ სესხებს.

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სესხი ლარში რეზიდენტი ბანკისგან	0	152748
სესხი ლარში ფიზ. პირებისგან	1141499	657859
სესხი ევროში ფიზ. პირისგან	690426	748677
სესხი დოლარში ფიზ. პირისგან	468581	221655
სულ:	2300506	1780939

3.9. ნეტო ამონაგები:

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები თითქმის მთლიანად შედგებოდა რძისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

3.10. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

აღნიშნული მუხლი მოიცავს სოფლის მეურნეობის ბუნებრივ ნამატს - რძესა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

3.11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2021 წელი
პირუტყვის მოვლაზე გახარჯული მარაგები	663576
სალარო აპარატის ხარჯი	81
რძის ლაბ. ანალიზის ხარჯი	0
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	300
ელექტროენერგიის ხარჯი	14379
საკანცელარიო ხარჯები	31
კომპიუტერის ხარჯები	40
კომუნიკაციის ხარჯები	1238
საწვავის ხარჯები	13839
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	11186
საგადასახადო ხარჯები	7013
საბანკო ხარჯები	4114
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	19351
საწევრო გადასახადი მერძეულობის ასოციაციის	3618
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები (სამეურნეო)	3331
სულ:	742097

3.12. საკუთარი კაპიტალი:

2021 წლის ბოლოს დაუფარავმა ზარალმა შეადგინა 170008 ლარი.

3.13. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 01 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 01 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "დორანი-ფერმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35 555	6 987	22 467	3.1.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	65 218	56 031	43 141	3.2.
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 876	29 690	4 474	
მარაგები	168 989	114 135	110 737	3.3.
სხვა მოკლევადიანი აქტივები	16 252	113 589	118 901	3.4.
ბიოლოგიური აქტივები:	1 047 934	883 402	894 103	3.5.
თვითღირებულების მოდელით	808 534	674 002	778 103	
გადაფასების მოდელით	239 400	209 400	116 000	
სხვა არამატერიალური აქტივები	320	335	350	
ძირითადი საშუალებები	1 131 485	868 180	938 268	3.6.
სულ აქტივები	2 468 629	2 072 349	2 132 441	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	64 600	-	-	
სავაჭრო ვალდებულებები	111 495	179 390	117 640	
ანარიცხები	-	-	1	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9 288	6 860	-	
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	31 226	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	152 748	377 000	364 740	3.7.
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2 300 506	1 780 940	1 762 081	3.8.
სხვა ვალდებულებები	-	-	93 078	
სულ ვალდებულებები	2 638 637	2 344 190	2 368 766	
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 170 008	- 271 841	- 236 325	
სულ საკუთარი კაპიტალი	- 170 008	- 271 841	- 236 325	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 468 629	2 072 349	2 132 441	
სულ მოკლევადიანი აქტივები	288 890	320 432	299 720	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	338 131	563 250	575 458	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.


დირექტორები:  მ. წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020	შენიშვნა
ნეტო ამონაგები:	1 142 132	1 122 396	3.9.
-საქონლის გაყიდვიდან	1 141 581	1 106 795	
-მომსახურების გაწევიდან	551	15 601	
გაყიდვების თვითღირებულება	- 1 107 885	- 1 106 795	
საერთო მოგება	34 247	15 601	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 166 979	1 199 795	3.10.
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 147 265	- 107 495	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 114 549	- 96 264	
საპროცენტო ხარჯი	- 169 487	- 178 811	
იჯარის ხარჯი	- 84 215	- 35 069	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 742 097	- 655 230	3.11.
სულ საოპერაციო ხარჯები	- 90 634	126 926	
საოპერაციო მოგება	- 56 387	142 527	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	- 20 920	- 83 175	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	122 105	- 169 097	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	47 574	86 177	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	92 372	- 23 568	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	92 372	- 23 568	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	92 372	- 23 568	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	- 271 841	- 236 325	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	9 461	- 11 948	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	- 170 008	- 271 841	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები:  მ. წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი-ფერმა"

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	337247	394684
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-556358	-18959
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	247639	-391209
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	28528	-15484
სავალუტო კურსის ეფექტი	40	4
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	6987	22467
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	35555	6987

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები: _____ მ. წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.